

საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების საფუძვლები, პროცედურები, ვადები და საქართველოს პარლამენტის საქმიანობა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების პროცესში

რას ნიშნავს და რა შემთხვევაში ცხადდება საგანგებო მდგომარეობა

საგანგებო მდგომარეობა არის დროებითი ღონისძიება საქართველოს მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, რომელიც ცხადდება მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალების, შეიარაღებული ამბოხების, ტერორისტული აქტის, ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფის ან ეპიდემიის დროს ან სხვა შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებული არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას.

საქართველოში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების მიზანი, ვადა და ფარგლები

საგანგებო მდგომარეობა ცხადდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში.

2020 წლის 21 მარტს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიად გამოცხადების, მისი მასობრივი გავრცელებისა და ქვეყნის წინაშე არსებული მზარდი გამოწვევის გათვალისწინებით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა.

2020 წლის 22 აპრილს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის ვადა გაგრძელდა 2020 წლის 22 მაისის ჩათვლით.

რას ითვალისწინებს საგანგებო მდგომარეობა

საგანგებო მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წარდგინებით გამოსცემს ორგანული კანონის ძალის მქონე დეკრეტებს, რომლებიც მოქმედებს საგანგებო მდგომარეობის გაუქმებამდე. დეკრეტის საფუძველზე შესაძლებელია შეიზღუდოს პირთა უფლებები ან/და დაეკისროთ მათ დამატებითი ვალდებულებები.

საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების პროცედურა და საქართველოს პარლამენტის როლი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების პროცესში

საგანგებო მდგომარეობას აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის წარდგინებით. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ პრეზიდენტის ბრძანება დაუყოვნებლივ გადაეცემა საქართველოს პრემიერ-მინისტრს, რომელიც ბრძანების გადაცემისთანავე იღებს გადაწყვეტილებას მისი თანახელმოწერის თაობაზე. საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ თანახელმოწერილ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებას დაუყოვნებლივ წარუდგენს საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად. საქართველოს პარლამენტი აღნიშნულ ბრძანებას ამტკიცებს შეკრებისთანავე. თუ საქართველოს

პარლამენტი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ ბრძანებას არ დაამტკიცებს, იგი კენჭისყრისთანავე კარგავს იურიდიულ ძალას.

საგანგებო მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის წარდგინებით გამოსცემს ორგანული კანონის ძალის მქონე დეკრეტებს, რომელიც ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილში ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ რიგ უფლებებს. დეკრეტი მოქმედებს საგანგებო მდგომარეობის გაუქმებამდე.

საქართველოს პარლამენტის მუშაობის რეჟიმი საგანგებო მდგომარეობის გაუქმებამდე

საქართველოს პრეზიდენტის მიერ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადებისთანავე პარლამენტი დაუყოვნებლივ იკრიბება საგანგებო სესიაზე. საგანგებო სესია გრძელდება აღნიშნული მდგომარეობის გაუქმებამდე, პარლამენტის ბიუროს მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით.

საგანგებო სესიის ფარგლებში, საკითხებს კენჭი ეყრება წინასწარი საკომიტეტო მოსმენისა და სხვა შესაბამისი პროცედურების გავლის გარეშე, კერძოდ: პლენარულ სხდომაზე დაუყოვნებლივ განიხილება: საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების, ზავის დადების, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტების დამტკიცების, საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევაში თავდაცვის ძალების გამოყენების, ქვეყანაში სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალების შემოყვანის, გამოყენებისა და გადაადგილების საკითხები.

საქართველოს პარლამენტის მონაწილეობა კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობაში

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომებში მონაწილეობას იღებენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, უმრავლესობის ლიდერი, საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე და პარლამენტის სხვა წევრები საჭიროებისამებრ.